არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“

ფინანსური ანგარიშგება

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით

WE ARE AN INDEPENDENT MEMBER OF THE GLOBAL ADVISORY AND ACCOUNTING NETWORK

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ:(995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel:(995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

სარჩევი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, სრული დაფინანსების ანგარიშგებას, მოზიდულ დაფინანსებაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ახსნა განმარტებით შენიშვნებს. მენეჯმენტის პასუხისმგებლობას მის მომზადებასა და წარდგენაზე. აუდიტორის პასუხისმგებლობას და გამოთქმულ მომზადებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე 3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში 4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5
მოზიდული დაფინანსების ანგარიშგება 6
დაფინანსებაში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება 7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 10

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ:(995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel:(995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი"

არამოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი"-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2020 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის (დაფინანსება/შემოწირულობა), ფულადი ნაკადების მოძრაობისა და მოზიდულ დაფინანსებაში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

WE ARE AN INDEPENDENT MEMBER OF THE GLOBAL ADVISORY AND ACCOUNTING NETWORK

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ:(995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel:(995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

ირმა ხაჩიძე

24 მარტი, 2020

თბილისი, საქართველო

ა(ა)იპ დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2019	29.02.2020
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	214 576	405 205
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3 686	986
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	-	-
სულ აქტივები	**218 262**	**406 191**
მიმდინარე ვალდებულებები		
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	**-**	**-**
დაფინანსება		
მიზნობრივი დაფინანსებები	218 262	406 191
მიზნობრივი დაფინანსების შემცირება		
სულ დაფინანსება	**218 262**	**406 191**
სულ ვალდებულებები და დაფინანსება	**218 262**	**406 191**



გენერალური დირექტორი
24 მარტი 2020
თბილისი, საქართველო

ა(ა)იპ დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის

მოზიდული დაფინანსების ანგარიშგება

2020 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

დაფინანსების უწყისი	**31.12.2019**	**29.02.2020**
შემოსავალი შემოწირულობებიდან	149 741	212 370
სხვა შემოსავალი	-	7
მთლიანი დაფინანსება	**149 741**	**212 377**
ბენეფიციართა დაფინანსების ხარჯები	(177 341)	(24 372)
ადმინისტრაციული დანახარჯები	-	-
საბანკო ხარჯი	(225)	-
სულ დაფინანსების ხარჯები	**(177 566)**	**(24 372)**
სხვა შემოსავალი	-	-
ფინანსური ხარჯი	-	-
ფინანსური შემოსავალი	-	-
კურსთა შორის სხვაობა	203	(76)
სულ დაფინანსების სალდო	**(27 622)**	**187 929**

გენერალური დირექტორი
24 მარტი 2020
თბილისი, საქართველო

ა(ა)იპ დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის

მოზიდულ დაფინანსებაში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	მიზნობრივი დაფინანსება	სულ
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	**245 884**	**245 884**
მიზნობრივი დაფინანსება		
მიზნობრივი დაფინანსების ზრდა		
მიზნობრივი დაფინანსების შემცირება	**(27 622)**	
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	**218 262**	**218 262**
მიზნობრივი დაფინანსება		
მიზნობრივი დაფინანსების ზრდა	**187 929**	
მიზნობრივი დაფინანსების შემცირება		
ბალანსი 29 თებერვალი 2020	**406 191**	**406 191**

გენერალური დირექტორი
24 მარტი 2020
თბილისი, საქართველო

ა(ა)იპ დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2019	29.02.2020
შემოსავალი დაფინანსებიდან	149 741	212 370
სხვა შემოსავალი	203	7
ფულადი ნაკადები დაფინანსებიდან	**149 944**	**212 377**
ბენეფიციართა დაფინანსება	(177 341)	(21 672)
ბანკის საკომისიო	(225)	-
საკურსო სხვაობა	-	(76)
გადახდილი გადასახადი	(5 101)	-
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(32 723)**	**190 629**
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(32 723)	190 629
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	247 299	214 576
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	**214 576**	**405 205**

გენერალური დირექტორი
24 მარტი 2020
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. **ძირითადი საქმიანობა**

ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“ (შემდგომში ”ფონდი”) დაფუძნებულია 2018 წლის 09 ივლისს მარეგისტრირებელი ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და მდებარეობს საქართველოში. ფონდის საიდენტიფიკაციო ნომერია 402093051.

ფონდის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, წინამძღვრიშვილის ქ. #93/95

ფონდის დამფუძნებლები არიან:

1. სს „სილქნეტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 204566978)
2. პაატა პატიაშვილი (პირადი # 01008002382)
3. დავით მამულაიშვილი (პირადი # 01002002007)

ფონდის მმართველობით ორგანოს წარმოადგენს გამგეობა.

გამგეობის თავმჯდომარე/წევრი: გიორგი რამიშვილი (პირადი # 0100800622)

თავჯდომარის მოადგილე/წევრი: ალექსანდრე თოფურია (პირადი #01026000555)

წევრი: დავით მამულაიშვილი (პირადი # 01002002007).

ფონდის ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობას ახორციელებს ფონდის გენერალური დირექტორი: დავით მამულაიშვილი (პირადი # 01002002007).

ფონდის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საქართველოს შეიარაღებული ძალების დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა და ომის ვეტერანების და მათი ოჯახის წევრთა დახმარება - მხარდაჭერა.

ფონდი მონაწილეობს საქართველოს შეიარაღებული ძალების დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა და ომის ვეტერანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების, განათლებისა და პროფესიული გადამზადების კურსების დაფინანსების, მათი არასრულწლოვანთა შვილების სამედიცინო დახმარება და შესაბამისი გარემოს შექმნის მხარდაჭერაში.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("ბასს") მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ("ფასს") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

ფონდი არ არის დღგ-ს გადამხდელი.

მოზიდული დაფინანსება

მოზიდული დაფინანსების მუხლი შედგება სხვა შემოწირულობებისგან და დაფინანსებისგან.

შემოსავალი

საანგარიშო პერიოდის შემოსავლის არსებითი ნაწილი მოიცავს შემოწირულობებით მიღებულ შემოსავლებს.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯები მოიცავს ბენეფიციალთა დაფინანსების ხარჯებს.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.